ჩემპიონატი

სსრკ პირველობაზე

მოსკოვი. 21 ივნისი (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). დღეს მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე ჩატარებულ მატჩს **თბილისის "დინამოსა" და ცდკას** სანიმუშო გუნდებს შორის 75.000–ზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა.

თამაში იწყება ტემპიანად. ტაიმის პირველსავე წუთებიდან მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედნებზე იქმნება მთელი რიგი ანგარიშის გამხსნელი მომენტები, მაგრამ თავდამსხმელები ვერ იყენებენ მათ დროულად.

მე–6 წუთზე დინამოელთა კარის წინ არევდარევით სარგებლობს ფედოტოვი და გააქვს პირველი ბურთი. თბილისელები აძლიერებენ ტემპს. ცდკას კარი უდაო საფრთხის წინაშე დგას. მე–12 წუთზე მოსკოველები ჯარიმდებიან კორნერით. ბურთს აწვდის პაიჭაძე, თავით ურტყამს ჯორჯიკია და თანაბრდება ანგარიში (1:1).

რამდენიმე წუთის შემდეგ პაიჭაძე უსხლტება ცდკას დამცველთა რიგებს და კუთხური გარტყმით ადიდებს ანგარიშს. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ, ანგარიშით – 2:1.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში მეკარე ტყებუჩავა უშვებს ტაქტიკურ შეცდომას (ნაადრევად გამორბის კარიდან). ამით სარგებლობენ გრინინი და შჩერბატენკო. მათ ზედიზედ გააქვთ ღია კარში 2 ბურთი. ტაიმის დასასრულ ჯეჯელავას ოსტატურად გააქვს მესამე ბურთი. მატჩი დამთავრდა ფრედ – 3:3.

„ახალგაზრდა კომუნისტი", 22 ივნისი, 1940 წ.